საქართველოს ეკონომიკური კლიმატი (I კვარტალი, 2021)

მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ

გამოცემა 13| 23.02.2021

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი PMC კვლევითი ცენტრის პროდუქტია. ბიულეტენში განვიხილავთ ქართველი ეკონომისტების მიერ შეფასებულ საქართველოს ეკონომიკურ კლიმატს. ბიულეტენი ემყარება Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას. საქართველოდან ინიციატივაში 60 ექსპერტი მონაწილეობს. კვლევა ჩატარდა 2021 წლის თებერვალში.

2021 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს ეკონომიკური კლიმატი გაუარესდა, 2020 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით.

2021 წლის პირველ კვარტალში ქართველმა ეკონომისტებმა უარყოფითად შეაფასეს მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის პირველ კვარტალში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება გაუარესდა, 2020 წლის პირველ და მეოთხე კვარტლებთან შედარებით.

მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის მსგავსად, ქართველ ეკონომისტებს უარყოფითი მოლოდინები აქვთ საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. ნიშანდობლივია, რომ მომდევნო ექვსი თვის მოლოდინები თითქმის იდენტურია 2020 წლის მეოთხე კვარტალში არსებული მოლოდინების, თუმცა გაუარესებულია 2020 წლის პირველ

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



დამატებით, გამოკითხვის ფარგლებში, ექსპერტებმა გააკეთეს პროგნოზი საქართველოს ძირითად მაკროეკონომიკური ინდიკატორებზე. შედეგების მიხედვით, **რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2021 წელს 3.7%-ს შეადგენს**. სხვა ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი შემდეგნაირია:

ინფლაცია

- მოსალოდნელია ინფლაციის **ზრდა** შემდეგ 6 თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით;

გაცვლითი კურსი

- ქართული ლარი ამჟამად არის **ნაკლებად შეფასებული** აშშ დოლარის, ევროს, თურქული ლირას და **ზედმეტად შეფასებული** რუსული რუბლის მიმართ.

ვაჭრობის მოცულობა

- მოსალოდნელია ექსპორტის მოცულობის **ზრდა** უახლოეს ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.
- მოსალოდნელია იმპორტის მოცულობის **ზრდა** უახლოეს ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.
- ექსპორტის მოცულობა სავარაუდოდ **გაიზრდება** უფრო ნაკლებად ვიდრე იმპორტის მოცულობა, რაც გამოიწვევს სავაჭრო ბალანსის **გაუარესებას** მომდევნო ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.

დამატებითი შეკითხვები

2021 წლის პირველ კვარტალში ქართველმა ექსპერტებმა შეაფასეს COVID-19-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, ეკონომიკის აღდგენა და მთავრობის მიღებული ზომები.

ექსპერტთა უმრავლესობამ (60%) აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ 28 ნოემბერს მიღებული ზომები "ზედმეტად მკაცრი" იყო. ექსპერტთა მხოლოდ 6.7% -მა განაცხადა, რომ ზომები "არასაკმარისად მკაცრი" იყო, ხოლო 26.7% -მა ზომები "ადეკვატურად" შეაფასა. 6,7% -ს არ ჰქონდა მოსაზრება დასმულ კითხვაზე.

გამოკითხულ ეკონომისტთა 26.7%-მა აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ დაწესებული ფისკალური სტიმულირების პაკეტი საკმარისია, ხოლო 33.3% -ს მიაჩნია, რომ ფისკალური დახმარების პაკეტი საკმატისი არ იყო. 20% მიიჩნევს, რომ დაწესებული ფისკალური სტიმულირების პაკეტი საჭიროზე მეტი იყო. 20%-ის აზრით, ფისკალური სტიმულირების მხრივ მომავალში კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. ეკონომისტებს სთხოვეს დაეფიქსირებინათ აზრი, ეთანხმებიან თუ არა საქართველოს მთავრობის სხვადასხვა ეკონომიკურ ანტიკრიზისულ რეგულაციებს. ექსპერტთა ყველაზე მაღალი წილი (60%) ეთანხმება მთავრობის გადაწყვეტილებას, დაეხმაროს მათ, ვინც პანდემიის დროს დაკარგა სამუშაო (200 ლარიანი დახმარება 6 თვის განმავლობაში) და მათ, ვინც დასაქმებულია დაწესებულებებში, რომელთა საქმიანობა შეჩერებულია (300 ლარი). ექსპერტთა ყველაზე მაღალი წილი (26,6%) არ ეთანხმება გადაწყვეტილებას საშემოსავლო გადასახადის გაუქმების შესახებ.

ექსპერტებს სთხოვეს გაეკეთებინათ პროგნოზი, თუ როდის მიაღწევს საქართველოში ტურისტების რაოდენობა პანდემიამდელ დონეს. ექსპერტთა უმრავლესობის აზრით (53.3%) ტურისტების რაოდენობა პანდემიამდელ მდგომარეობას დაუბრუნდება 2023 წელს, ხოლო 26.7%-ის აზრით 2024 წელს.

ასევე, რესპონდენტებს სთხოვეს გაეკეთებინათ პროგნოზი, თუ რამდენად აღდგება ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 2021 წელს, 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით. 60% -მა ივარაუდა, რომ 2021 წელს მიღებული შემოსავალი 2019 წლის მაჩვნებლის 21-40%-ს გაუტოლდება. აღსანიშნავია, რომ არც ერთი რესპონდენტი არ მიიჩნევს, რომ 2021 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 60% -ზე მეტით აღდგება.

მეთოდოლოგია

ინდექსი ემყარება მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის კვარტალურ ექსპერტულ შეფასებებს, ასევე, მომავალი ექვსი თვის მოლოდინებს. მასშტაბი მერყეობს –100 ქულიდან +100 ქულამდე. –100 ინდექსი ნიშნავს, რომ ყველა ექსპერტი აფასებს ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც გაუარესებას (უარყოფითს), ხოლო +100 ინდექსით გაუმჯობესებას (დადებითს), 0 კი ნიშნავს ნეიტრალურს / უცვლელს.

ინდიკატორები	2017	2018	2019	2020 (I კვ.)	2020 (II კვ.)	2020 (III კვ.)
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16248.5	17596.6	17470.7	3777.3*	3572.5*	4297.5*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4358.5	4722.0	4696.2	1017.1*	961*	1156.2*
მშპ რეალური ზრდა (%)	4.8%	4.8%	5.1%	2.2%*	-12.3%*	-5.6%*
ინფლაცია	6.0%	2.6%	4.9%	-	-	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1978.3	1306.3	1310.8*	174.7*	241.6*	302.6*
უმუშევრობის დონე (%)	21.6%	19.2%	17.6%	18.3%	18.3%	17.0%
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5177.4	5434	5741	5688	6143	6762

* წინასწარი მონაცემები